ხელშეკრულება N210

ქ. თბილისი 13 ივნისი 2014 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში "შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის მოადგილის შალვა ტორაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ, შპს „ცეროდენა" დირექტორის ია მოწყობილის სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი"),"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

ხელშეკრულების საგანს წარმოასდგენს სხვადასხვა დასახელების სათამაშოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV37520000).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სხვადასხვა დასახელების სათამაშოები. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული დანართი 1 (ერთი) ფურცლად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **794 (შვიდასოთხმოცდათოთხმეტი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ეტაპობრივი ვადები

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია შპს „ცეროდენა"-ს სავაჭრო ქსელები.

4.2. საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

5. საქონლის მიღება-ჩაბარება

საქონლის მიღების შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც "მიმწოდებელი" "შემსყიდველ ორგანიზაციას" წარუდგენს სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების პირობები:

6.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6.3. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანართი #1 პირობებთან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

11.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5 (ნული მთელი, ხუთი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

11.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მომარაგების განყოფილების ინსპექტორი დიმიტრი მაჭუტაძე.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნდებული საქონლის მოწოდების შემთხვევაში შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდებული საქონლის მიწოდების შესახებ. მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი ახლით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

13.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს

15.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება "მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება "შემსყიდველ ორგანიზაციაში".

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გორგასლის ქ. N83 ა ს/კ 204404723 საქართველოას ეროვნული ბანკი ბ/კ 220101107 ა/ა GE24NB0330100200165022	შპს „ცეროდენა" ქ. თბილისი, გვეტაძის ქ.N 6 "თიბისი ბანკი", თბილისის N 7 ს/ ცენტრი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE73 TB13 4893 6020 1000 06 ს/კ 202457064
თავმჯდომარის მოადგილე	**დირექტორი**
/შალვა ტორაძე/	/ია მოწყობილი/

დ ა ნ ა რ თ ი # 1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ (ლარი)
1	ფერადი ღობე	1	216	216
2	სატვირთო კუბიკებით	2	24	48
3	კუბიკები ვინი პუპი	2	16,80	33,6
4	იატაკის ფაზლი მიკი	4	27	108
5	კუბუკების ყუთი	2	28	56
6	ხის სკამი (სათამაშო)	8	18,80	150,40
7	მასაჟორი ბუთი (სათამაშო)	4	4	16
8	რეზინის ვირი	2	34	68
9	მაგიდა (სათამაშო)	2	49	98
	სულ ჯამი:			794

შპს „ცეროდენა"

დირექტორი

/ია მოწყობილი/